პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Союз Советских Социалистических Республик

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 199 (18441) კვირა, 29 აგვისტო, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

29 აგვისტო მეშახტის დღეა

სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებაში ახალ-ახალ გამარჯვებებით ხვდებიან აფხაზეთის მაღაროელები თავიანთ დღესასწაულს.

მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ტყვარჩელის შახტსამმართველოს გვირაბგამყვანები. ხუთწლედის მეორე წლის დამდეგიდან მათ ანგარიშზე ორი ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირია.

მაღაროელები, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, დიდი შთაგონებით შრომობენ, უოველდღიურად იღებენ ტონობით ზეგეგმითს ქვანახშირს.

სურათებზე: ამ სახელო ბაგირგზებით გადაიკვეთ ტყვარჩელის ქვანახშირი. ტყვარჩელის შახტსამმართველოს მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელები (მარცხნიდან) ვარლამ ხინოუა, რამაზ ჯიბლაძე და გელა ლეშკაშელი;

ი. ბოხოლელიძის ფოტო. (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

● ●

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი მასალა — რეპორტაჟი ტყიბულის მაღაროებიდან „გამარჯვების ვარსკვლავები“ იხილეთ მე-2 გვერდზე.

ერთიან ძმურ ოჯახში

მეგობრობა ძალას ამრავლებს

მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებთ მეზობელი რაიონების — აზერბაიჯანის ბელოკანების და საქართველოს ლაგოდეხის რაიონების მეურნეობათა მშრომელებს, ერთმანეთის დახმარება მთავარი პირნეტია მათს ურთიერთობაში. და როცა კოკისპირულად წვიმს ამ მინდერებს თავს დაატყვევა ხოლმე სეტყვა, მოსავლის აღების ან თესვის კამპანიის დროს მეზობლები ყოველთვის ერთმანეთის გვერდით არიან. მათი მეგობრობა მტკიცედაა ერთობლივი შრომით, იგი ისევე მყარია, როგორც მაზმაჩაის მდინარის ხიდი, რომელიც აბერკაკასის მოძმე რესპუბლიკებს აკავშირებს.

ახლა ლაგოდეხელ და ბელოკანელ მეწყვილეებს ერთიერთობას ახალი ამბესი მიეცა. ხიდზე შეხვედრით დაიწყო ხალხთა მეგობრობის ღღესასწაული, რომელიც დაგვირგვინდა აზერბაიჯანის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობისა და საქართველოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლეტივების სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით.

... მესამედი სუკუნეა ქართულ მეურნეობას თავმჯდომარეობს ეგგენი დუკმასოვი. იგი ტრაქტორისტი იყო, და 17 წელიც აწარმოებდა, როცა ომი დაიწყო, მშვიდობიანი მანქანის საჭე მან მრისხანე ტანკის ბერკეტებით შეცვალა. 1945 წლის მაისში ოდერზე დაამთავრა ომი, დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას, და მთელ რესპუბლიკაში ამ ცნობილ ადამიანს საბრძოლო ჯილდოების გვერდით მკერდს უმშვენებს ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენები, რომლებიც უკვე მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კოლმეურნეობის წარმატებებისათვის დაიმსახურა. მრავალი წელია იგი მეგობრობს აზერბაიჯანის მეურნეობის ხელმძღვანელთან ასაბოვთან ჩეეროვთან, რომელიც უკვე 25 წელია უცვლელად მუშაობს თავმჯდომარედ.

— ნამდვილი ძმური ურთიერთდახმარება გვაკავშირებს ჩვენ, — თქვა ეგგენი დუკმასოვმა, რომელიც სოფელ კატეხში, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრალურ კარ-მიდამოში ჩამოვდა შეხვედრაზე. — ამ გაზაფხულზე, მაგალითად, სიინლეებები გვქონდა უხვი სავლები დამზადების დარგში — დაგვეხმარნენ მეზობელი მეგობრები. ხოლო როცა მათ თესვის დროს აკლდებოდათ ტექნიკა ან მექანიზაციის სათადარიგო ნაწილები ჩვენც ხელს ვუმართავდით. სიმინდის, ბალახის თესლს ერთმანეთს ვუყოფთ. მოგაყვეს ერთი და იგივე კულტურები — სიმინდი, თამბაქო, აბრეშუმის პარკი, რომლებსაც სახელმწიფოს ვაბარებთ, ვამრავლებთ პირუტყვს. დღეს აზერბაიჯანელ მეგობრებს ჩვენთან ერთად ეწვია ცნობილი ბულგარელი სპეციალისტი ივანე ივანოვი. ჩვენი სტუმარი პლოვდივის „როდოპის“ ცომბინატდან არის. ეთხოვეთ გაეზიარებინა გამოცდილება. სიხარულით მივულოცეთ ბელოკანელ მეგობრებს, როცა ხუთწლედის პირველი წლის შედეგების მიხედვით მათ მიიღეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის პროფსაბჭოსა და აღკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ბევრი რამ აქვთ სათქმელი ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებს; მათ დიამსახურეს ჯილდოს: ფარფიტებზე, სადაც ინდუსტრიული წესით მოჰყავდათ სიმინდი, მოიწია 1111 ტონა მარცვალი, ჰექტარზე მიაღწიეს 122 ცენტნერ საშალაფო მოსავლიანობას, ახლა კი ორი ათასი ტონის მოწევას აპირებენ. წელს ჩაბარეს 70 ტონა აბრეშუმის პარკი გეგმით გათვალისწინებული 50 ტონის ნაცვლად.

ყოველივე ამის, მაღალნაყოფიერი შრომის მიღწევის გზების შესახებ ილაპარაკეს მეტოქე მეგობრებმა აზერბაიჯანის კოლმეურნეობაში შეხვედრაზე. ხოლო შრომის ვეტერანმა ი. ი. ბარნაბიშვილმა სტუმრების სახელით თამ მიერ დაწესებული ვიმპელი გადასცა ბელოკანის მეურნეობის საუკეთესო კომკაშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს მუგამ ალიევს.

ასე დამთავრდა დღესასწაული, რომელიც, როგორც ზაფხულის ალოობის დროს არის მიღებული, გადაიქცა მოწინავე მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა, ბამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთდახმარების დღედ. შემდეგ კი მიყუჩებულ სოფელში დიდხანს გაისმოდა რუსული, აზერბაიჯანული, ქართული სიმღერების ჰანგები. მეგობრები ბედნიერებაზე მღეროდნენ.

ნ. ბარსკი,

ბელოკანი,

საკინფორმის სპეც. კორ.

1982 წლის 30 აგვისტოს ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“ და ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექცია ანყობენ კავკასიისათვის ბრძოლის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციის თემაზე:

„კავკასიისათვის ბრძოლის ადგილი და როლი დიდ სამამული ომში“.

კონფერენცია გაიმართება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების მუზეუმში — ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, № 76-ბ. დასაწყისი 14.00 საათზე.

რეჟო ამაღუკელი

მიდი, შეუდექ, ერთგულებით უღელს ქვეყნისას!

ამას ყინით კახეთს ვესტუმრე. იქაც შევხვედი გიორგი თოდელს — რაიკომის მდივანს, რომელსაც ეძღვნება ეს ლექსი.

კვლავ მივადექი
უჯარმიდან
დიდებულ გომბორს,
ნატვრის ხეები
ჭრელ ჭინჭებით მღერიან ქარში...
მწიფე თიბათვე
გავს სურვილით გაბანგულ გოგოს,
ველური ფუტკრის ზუზუნი რომ
ჩაუწნავს თმაში!...

სხვა ეშხი ადგას,
სხვა გვირგვინი
ამ გზას, ამ მხარეს,
ცა ხვავრიელი
საღებავში უმატებს ატამს...
მიდის ნახირი ციცხლისფერი
და თვალს ახარებს,
— და სოფლის განცდა
რბილში გადის
და ძვლამდე ატანს!

სხვა გზით მივდივარ,
— რად გახსენე,
რად მომაგონდი?!..
შენი ქართული, ბედაური,
რად მოსწვდა სმენას?..
— იმ წარღვნის ღამეს
ჭირისუფლად თუ ვერ ვვარგოდი,
გწამდეს,
ტირიოდი შენთან ერთად
დაღუპულ ვენახს!..

ეხლება სული
გადარწეულს მწვანეში ულრანს,
ღუის კახეთი
ჩაგუბებულ ინოფერ ნისლში...
და მეჩვენება —
— ვით ახსენებ ანას და მუხრანს
და ცას საავდროს
რანაირად გახედავ შიშით!

გადიხარ ზვარში,
წაქცეულ ვაზს აყენებ ფეხზე,
და გტკივა მკერდი,
ველად გიხმობს მამულის ფეხვი!
განსაკუთრებულია ჭვირავალ ცრემლად
მარცვალი ესე,
დაჩეხილია ხარდანავით
შენდამი ლექსი!

მივალ,
მიმელის მეგობარი
პურით, მარილით...
— აქეთ თელავით, წინანდალით,
იქით ყვარელით!
წითელ ჩინჩხვით,
ხიხობავით მაჯაზე ფეთქავს
სიტყვა, რომელიც
კახეთისთვის მინდოდა მეთქვა!..
შე ვინ მასწავლის პურის ჭამაზ
ან ღვინის გემოს!?
მაგრამ, ვაი რომ,
ჯერ არ გვიდგას დარი კვეხნისა...
— მოგჩერეშა საქართველო,
სისხლხორცო, ჩემო!
— მიდი,
შეუდექ ძველებურად
უღელს ქვეყნისას!..
რომ საქილიკოდ არ გამოდგეს
ჩვენი-მავანი,
რომ მზედ ეკიდოს
დასუნძლული ყურძნის ჯაგანი!
დუღდეს მირონი
და გალობდეს ღარით მარანი,
— ნახოს ქვეყანამ,
რომ არა ვართ მჭლე და ჯაბანნი!
ჩვენი წაქცევა
მოშურნეს და მტერს არ ეღირსა!
— მიდი,
შეუდექ ერთგულებით
უღელს ქვეყნისას!

კოსმოსური ფრენა დამთავრდა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ლ. ი. პოპოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-7“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვეჟაკაცობისა და გმირობისათვის დაჯილდოდეს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ლეონიდ ივანეს ძე პოპოვი, ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 27 აგვისტო.

● ●

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

კოსმონავტი მფრინავის ამხ. ა. ა. სერებროვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს medlის შესახებ

„სალუტ-7“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვეჟაკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და **„ოქროს medlის“** მედალი კოსმონავტ მფრინავს ამხ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სერებროვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 27 აგვისტო.

● ●

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ს. ე. სავიცკაიასათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ medlის მინიჭების შესახებ

„სალუტ-7“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვეჟაკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** medlის ამხ. სვეტლანა ეგეგენის ასულ სავიცკაიას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 27 აგვისტო.

● ●

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ა. ა. სერებროვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ medlის მინიჭების შესახებ

„სალუტ-7“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვეჟაკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** medlის ამხ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სერებროვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 27 აგვისტო.

საქმესის ცნობა

სვეტლანა სავიცკაია, ლეონიდ პოპოვი და ალექსანდრე სერებროვი დედამიწაზე დაბრუნდნენ

1982 წლის 27 აგვისტოს მოსკოვის დროით 19 საათსა და 04 წუთზე „სალუტ-7“-„სოიუზ ტ-5“-სოიუზ ტ-7“ სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ბორტზე გამოკვლევების და ექსპერიმენტების პროგრამის დამთავრების შემდეგ კოსმონავტები სვეტლანა სავიცკაია, ლეონიდ პოპოვი და ალექსანდრე სერებროვი დედამიწაზე დაბრუნდნენ. „სალუტ-7“ სადგურში მუშაობას განაგრძობენ კოსმონავტები ანატოლი ბერეზოვი და ვალენტინ ლებედევი.

„სოიუზ ტ-5“ კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში, ქალაქ არყალიყის ჩრდილო-აღმოსავლეთით 70 კილომეტრზე. ამხანაგები სავიცკაია, პოპოვი და სერებროვი დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

დედამიწაზე ჩამოტანილია იმ გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების მასალები, რომლებიც „სალუტ-7“ სადგურში შეასრულა ძირითადმა ეკიპაჟმა სამი თვის ფრენის დროს და ხუთი კოსმონავტისაგან შემდგარმა ეკიპაჟმა ერთობლივი მუშაობის პროცესში.

კოსმონავტებმა მოაწყვეს დედამიწის ზედაპირის ცალკეული რაიონებისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ფოტოგრაფირება, შეასრულეს მთელი რიგი ტექნიკური ექსპერიმენტები. ფრენის დროს გრძელდებოდა ასტროფიზიკური და გეოფიზიკური ექსპერიმენტები საბჭოური, ჩეხოსლოვაკიური და ფრანგული აპარატურის გამოყენებით. დიდი მნიშვნელობა აქვს სადგურში პირველად შესრულებულ ბიოტექნოლოგიურ ექსპერიმენტებს, რომელთა დროს იხვეშვებოდა უწონობის პირობებში ზეხალას ბიოლოგიური ატ-ტერა ნივთიერებათა მიღების მეთოდები.

ეკიპაჟის მუშაობის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი სამედიცინო-ბიოლოგიურ გამოკვლევებს, რომელთა შედეგად მიღებული დიდი მოცულობის ახალი მეცნიერული ინფორმაცია, ამასთან, არ გამოვლენილა არსებითი განსხვავება კოსმოსური ფრენის ფიქტორთა ზემოქმედებაზე ქალისა და მამაკაცის ორგანიზმის რეაქციებში.

ეკიპაჟის წარმატებით დამთავრებული ფრენა, რომლის შემადგენლობაში პირველად მუშაობდა კოსმონავტი ქალი, სამამული კოსმონავტიკის ახალი ბრწყინვალე ფურცელია. ფრენის დროს მიღებულ მეცნიერულ მონაცემებს გამოიყენებენ მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის, აგრეთვე პილოტირებული კოსმოსური ფრენის შემდგომი განვითარებისათვის.

მიფრინავს „მოლნია-3“

შორაული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციის „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემის უწრეველყოფისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით 1982 წლის 27 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-3“, რომლის სამრტო სარეტრანსლაციო აპარატურა უზრუნველყოფს სისტემის მუშაობის ტალღების სანტიმეტრული დიაპაზონით.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის აპოგეა 40.814 კილომეტრი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეა 494 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის გარშემოვლის პერიოდი 12 საათი და 16 წუთი. ორბიტის დახრილობაა 62.8 გრადუსი.

„მოლნია-3“ თანამგზავრის მეშვეობით კავშირის სეანსები მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

სურათზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმის შრომითი სემესტრი დამთავრდა.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაგელოცოთ მარჯვენა, ახალგაზრდებო!

გავა რამდენიმე დღე და ათასობით პირველკურსელთან ერთად სტუდენტურ მერხებს კვლავ მოესხდებიან მზით გარუჯული, ჯაფაში გამოწრთობილი ქალიშვილები და ჭაბუკები — მესაშე შრომითი სემესტრის მონაწილენი.

ამ წერილში რამდენიმე მთავაზე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკა-გამოთვლითი ტექნიკისა და საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტების სტუდენტური სამშენებლო რაზმების იმ მებრძოლებზე გვაქვნება საუბარი, რომლებიც ზუგდიდის რაიონის საბრიოლეო მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე იღვწოდნენ.

როდესაც სპეციალურად ამ ობიექტის მშენებლობისათვის შექმნილი საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის ზუგდიდის სამოცდამეოთერთმეტე მორგვამექანიზაციული კოლონის უფროსს ი. ფარცვახიას სტუმრობის მიზანი გაეცანით და სტუდენტთა საქმიანობის შესახებ გამოკითხეთ, ამაყოფილება ვერ დამალა. კარგი ბიჭები არიანო, მოკლედ გვითხრა და მშენებლობისაკენ გაგვიძეა.

შენობის ორივე მხარეს ორი ლამაზად გაფორმებული ბლაკატი ამშვენებს. ერთს „ინერია — 82“ აწერია. ეს ავტომატიკა-გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის 30-კაციანი სამშენებლო რაზმის (უფროსი ამავე ფაკულტეტის საინფორმაციო-საზომი ტექნიკის კათედრის მუშაკი ნუგრი დავთაია), კომისარი — მეხუთე კურსის სტუდენტი ილია ალანდაძე) საბელწოდებაა. ბიჭებს 60 ათასი მანეთის მოსაბეტონებელი სამუშაოები უნდა შეესრულებინთ, მაგრამ გადაწყვეტეს ეს მაჩვენებელი 100 ათას მანეთამდე გაეზარდათ და შეასრულებენ კიდეც.

მეორე წარწერა — „ფიზიკა-ნი — 82“ კი საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტის 20-კაციანი რაზმის (უფროსი — მეოთხეკურსელი მამუკა გოგინავა, კომისარი — მეორეკურსელი დავით გეგეჭკორია) სახელწოდებაა, მისი წევრებიც საფრენველეთა მობეტონებაზე მუშაობენ და გადაწყვეტილი ქონდათ საგეგმო 40 ათასის ნაცვლად 67 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულება.

სტუდენტური რაზმების წევრებმა ძირითად სამუშაოსთან ერთად ბევრი სხვა კარგი საქმეც წამოიწყეს და შეასრულეს კეთილშობილური ინტერნაციონალიზმის ნიშნებ.

გამარჯვების ვარსკვლავები

დღეა თუ ღამე, ტყიბულის ქვანახშირის საბადოს შახტების უნესტერებიდან მალიმალ გადიან სათბობით დატვირთული სარკინიგზო ეშელონები, რომლებსაც რესპუბლიკის სხვადასხვა სარეწველო ცენტრში მიაქვთ ძვირფასი ნიოლიეული. საღამოს, როცა ბინდი ჩამოწვება, ოთხივე შახტის ურანალზე ალისფერი ვარსკვლავები აკიაფდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მეშახტეთა საქმე კარგად მიდის.

ბოლო დროს ყველაზე ძალუმად მაინც ლენინის სახელობის შახტის თავზე აღმართული ვარსკვლავი ანთებს. ბოლშევიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანი საწარმოს მეშახტეები შრომითი სიამაყით ხელდამშვენებულნი ოცდამეთხუთმეტეკერი ეგებებიან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს.

ჩვენ შახტის საერთო საგანრიგოდ ვიმყოფებით. მთავარი ინჟინერი გ. კანაველ და სამსახეო კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ჭიკვარიძე ტელეფონით შახტის მთავარ ეკონომისტს ი. აბულაძეს ელაპარაკებიან. ისინი მეშახტის დღის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აჯამებენ, ბოლკონტროლიორებს იწერენ, გამომთვლელ მანქანაზე ამრავლებენ, კამათობენ

რეპორტაჟი

მსჯელობენ. ლენინელებმა, წელს უკვე 18 ათას ტონაზე მეტი საკოქსე ქვანახშირი ამოიღეს საგეგმოს გადაჭეტებით, თითქმის ოორჯერ მეტი, ვიდრე ეს წლიური სოციალისტური შეჯიბრებით იყო გათვალისწინებული...

ახლოვდება დილის ცვლის მუშაობის დამთავრებისა და მომდევნო ცვლის მოწოლქვეშა სანგრეგებში ჩაშვების დრო. შახტის იმმინისტრაციიან-საყოფაცხოვრები კომბინატის წინ უჩვეულო ხალმჩრავლობა. ლენინელები საზეიმო ეთიარებში ხვდებიან მეექვსე საკავშირო ატაკეკი უბნის სახელგანთქმული მეშახტის ნოდარ კუპრაშვილის ბრიგადის წევრებს, რომლებსაც წილად ხვდათ საწარმოს რვა თვის სახელმწიფო გეგმის დაგვირგვინება და სეკტორმრის ანგარიშში ქვანახშირის პირველი ტონების ამოღება.

მეექვსეუბნელებს სპეციტანსაცმელში გამოწყობილი სამთო ინჟინერი გიორგი გვენტაძე მოეძღვის. ამ ანალგაზრდა ენთუზიასტმა ერთი წლის წინათ შრომის ესტაფეტა მიიღო თავის დამრიგებლისაგან, უბნის უფროსის მარილ გვენტაძისაგან, რომელიც, ჩვენ

ხშირის ფენებთან ჰიდილს შეალია. იგი ბოლო ათი წელი უბნის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. მეშახტეებმა გიორგი გვენტაძე ერთხმად ალიარეს თავიანთ ნიმნამძოლად და არც შეცდარან. შრომითი კოლექტივი, რომგორც წინათ, კვლავ მონოლითურია. უბანმა წლის პირველი დღეებიდანვე კარგი სტარტი აიღო და საუკეთესო შედეგსაც მიაღწია; შვიდ თვეს და ოც დღეში მის ანგარიშზე 2000 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი ირიცხება. ეს წარმატება უბნის მეშათა მთელი კოლექტივის დიდი გარჯითა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დაუღალავი შრომით არის მოპოვებული.

სახელდახელო მიტინგის მონაწილენი ერთმანეთს მხურვალედ ულოცავენ დიდ გამარჯვებას, შახტის კოლექტივის მიერ ქვანახშირის ამოღების რვა თვის სახელმწიფო გეგმის დავალების ვადაზე 13 დღით ადრე შესრულებას. სიხარული ახალი სიხარული დაემატა. ფოსტალიონმა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის ბ. ბრაბენენკოს დეპეშა მოიტანა. მინისტრი ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს მხურვალე ულოცავს მეორე კვარტალის მეშობის შედეგების მიხედვით საკავშირო

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებასა და მესამე ფულადი პრემიის მიკუთვნებას.

ორატორთა მოკლე გამოსვლების შემდეგ მეორე ცვლა შახტაში ეშვება. ფიზფაფეს მივყვები. მათი გზა ჯრმელია. სანგრეგის მოკმედი ხაზი ზედაპირიდან რამდენიმე ასეული მეტრ სიღრმეზე მდებარეობს. აქ ერთი წუთითაც არ ნელდება შემოქმედებითი შრომის რიტმი. დროდადრო ქვეყანელს ახანზარეს დინამიტის ფეფოქების ხმა. ქვანახშირის ბეტონები მთის მძვინვარე ზეგავლით ეშვება დამრეც გვირაბებში და სადღაც უზარმაზარ ხეიმირებში ინთქმება. აქ უჩვეულო საეკონომიკო ბატონ-პატრონი მეექვსე საექსკალატაციო უბნის კოლექტივია. მთელ ტექნოლოგიურ პროცესს სათავეში უდგას და უნარიანად წარმართავს გამოცდილი სამთო ოსტატი. ალექსანდრე სოფრომაძე, იგი ტრადიციული მეშახტეა. მისმა მამამ პლატონმა დიდხანს იმუშავა შახტში. შვილიც მამის კვალს გაჰყვა. ერთი წლის წინათ ალექსანდრომ თავისი ეაკი თეგვანზე შახტაში მოიყვანა და მასთან ერთად ცვლაში მუშაობს.

—დღეკანელი შახტი ისე ალარ არის, წინათ, მაიაჩვრის დროს რომ იყო, — გვეუბნება ცვლის უფროსი ა. სოფრომაძე. — ახლა ქვანახშირის მოხგრეგისათვის მარტო ადამიანის ფიზიკური ძალა არ ქმარა. შრომის მაღალი კულტურისა და მოწინავე ტექნიკის გარეშე ფეხსაც ვერ გადადგამ. ამიტომ არის, რომ

ჩვენი უბანი მთლიანად საშუალო სეკოლადამთავრებულებისაგან დაკომპლექტდა. ბევრი მეშახტე ეწარმოვის მოუწვავეტლეგ სამთო ტექნიკუმში სწავლობს.

მაგრამ უბანში განა ყველა რეზერვია გამოყენებული? და ია ეს ცვლის უფროსი. ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს შეეხო. მისი აზრით საჭიროა კიდევ უფრო დაჩქარდეს ეგრეთ წოდებულ მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპი. სავეტლაკეთო გვირაბების კვეთის შეკეთრობის გამო ძალზე გაძნელებულია ამოსაღებ სამთო ველში ისეთი მასალების მიტანა, როგორიც არის ხის ბიგები, ლითონის გამაგრება, ფიცარი, ქვანახშირის მომზადები კონვეიერების ლითონის ღარები. მათ ტრანსპორტირებაზე ბრიგადის წევრები დიდ დროსა და ფიზიკურ ენერგიას ხარჯავენ. დრო არ ითმენს. მებიგეებმა რაც შეიძლება უნდა დაიჩქარონ აღნიშნული საეტლაკეთო გვირაბების აღდგენა. უბანში ერთ-ერთი ვიწრო ადგილია სამსახეო ვაგონეტების ნაკლებობა, რაც აფერხებს მონგრეული ნახშირის ტრანსპორტირებას მფწის ზედაპირზე. მიწოლქვეშა სვეგანონ პარკის აღჭურვა-განახლების საქმის გადადება ალარ შეიძლება, დაასკვნა.

გვიაკანათ საოუბილეო შრომითი ვახტის ზოგიერთი ენთუზიასტი. უბანში მთელი კოლექტივის სული და ულია მეშახტეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მირმენ ვარდოსანიძე. იგი შახტში სამუშაოდ ოცდაათი წლის წინათ მოვიდა და ყველა მომიჯნავე პროფესიას დაეუფლა. ნოვატორი მეშახტე ახლა ერთნაირი ოსტატობით ფლობს შნგრეველის, მებიგის, ამფეთქებლისა და გამყვანის სპეციალობას. მირმენს უყვარს წმინდა და სიზუსტე მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბრიგადირია, სხვის ტოოლად შრომობს და ყველა საქმეში მაგალითს იძლევა. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 14151 ტონის ნაცვლად 14743 ტონა საკოქსე ქვანახშირი ამოიღო.

მირმენმა უმცროსი ძმა თამაზი შახტაში მოიყვანა სამუშაოდ და გვეოფნი ამოიყენა, დამრიგებლობა გაუწია, საფუძვლიანად დაეუფლა სამთო საქმეს. მალე თამაზმა უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადა ჩაიბარა და ჩინეტის ფენებს. ამ დღეებში შახტის ადმინისტრაციამ და სამხატო კომიტემა შეაჯამეს ორ ბრიგადას შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების „მიმდინარეობა. ამ შეჯიბრს „ცალკე“ მირმენ ვარდოსანიძის ბრიგადის ბიუბი უდგანან სათავეში. ფუმცა არც მეორე ბრიგადას აქვს ურიგო მაჩვენებლები.

ლენინის სახელობის შახტის ჰორიზონტებზე მეშახტეთა მრავალი დინასტიის წარმომადგენელი ერკინება საუკუნოვან ქვანახშირის ფენებს. აქ ყველა იცნობს ახალგაზრდანების მეშურ დინასტიას, თაობიდან თაობას რომ გადაეცემენ შრომის ესტაფეტას, მეშურ ტრადიციებს. მეშახტის შრომის რომანტიკას, მთის ენერგიათან ბრძოლით დაფოკებულნი სურვილით შეშატა ძალა და ენერგია ახალგაზრდანების დინასტიის სახელოვან მეთაურს ვლადიმერ ივანეს ძეს. მიუხედავად ხანგაზმულობისა, იგი ახლაც მეგზგეგ მეშობის. მამამ ქალ-ვაჟი — ნინო და ვლადიმერი თავის გაკვალულ გზაზე დაიყენა. ვლადიმერი მიწოლქვეშა სანგრეგის მეშაა, ნინო კი შახტის კაღრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი, ოჯახის ორივე სიძეც მეშახტენი არიან. ნინოს ქმარი რევაზ მაკლობლიშვილი მნარეველია, ნელის მეუღლე — სერგო ძოწენიძე კი გვრიაბგამყვანი.

...რეპორტაჟის წერას რომ გამთავრებდი, ჩემს სამუშაო კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილში შახტის დისპეტჩერის ნაცნობი ხმა გაისმა:

— მინდა გაცნობოთ, მორიგი სამუშაო ღღე წარმატებით დამთავრდა. შახტის ბუნკერიდან ახლახანს გავიდა ზეგეგმითი ქვანახშირით დატვირთული ეშელონი...

. მუდამ გამარჯვების გზით გეკლოთ, ტყიბულელო მეშახტეებო!

ვ. ციბერკიძე,
„ლომონანტის“ საკ. კორეს-პონდენტი.

როგორ ვიმუშაოთ პარტიულ დოკუმენტებზე?

ცხინვალი. „ოქ. ალ. ...“ საკ. თველლ“ „კომპარტიის სამხრეთ ოსეთის სოოლქო კომიტეტში გამართა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების სამრთო განყოფილებათა გამგეების ზონალური თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები.

მოხსენება წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგემ ლ. მგალობლიშვილმა.

პარტიულ დოკუმენტებზე, შრომიელთა წერილებზე, საჩივრებსა და განცხადებებზე მუშაობის შესახებ დამსწრეთ ესაუბრნენ პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ქოზაევი, პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი ა. თინიკაშვილი, ცხინვალის საკერავი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ...ქოჯოევა, პარტიის სამხრეთ ოსეთის სოოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე თ. მასალოვი და სხვები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის სოოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი.

ბ. თედეევი.

აჭარის მეგალეგმა ვალდებულება შეასრულა

აბარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდეს კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა და ვალდებულება.

სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.770 ტონა კურკოვანი ხილი დავალებით გათვალისწინებული 1.710 ტონის ნაცვლად, რაც წლიური გეგმა-ვალდებულების 103,5 პროცენტს შეადგენს.

კურკოვანი ხილის კრეფაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ქედის რაიონის მებაღეებმა.

კურკოვანი ხილის დამზადება ავტონომიურ რესპუბლიკაში გრძელდება. (საქინფორმი).

● ●

როგორ იბადება სოფლები

თბილისი „დაიბადა“ სოფელი ფიროსმანი. მისი საცხოვრებელი სახლები, ეროვნული ტრადიციების შესაბამისად, აგრეთვე საკარმიდამო ნაგებობანი „საქსოფლმშენსახპროექტის“ არქიტექტორებმა დაუპროექტეს. სოფელი აშენდება დღესდღეობით უდაბურ ადგილს, ალაზნის სარწყავი სისტემის არხის მახლობლად, რესპუბლიკის საწარმოო ძალების რაიონალური განლაგების გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად.

პროექტებში გათვალისწინებული საცხოვრებელ სახლებში გაყვანილი იქნება გათბობა, ელეკტრობა, გაზი, წყალსადენი, კანალიზაცია. პირველი სართული საშეურნეოა, მეორე — საცხოვრებელი. - პროექტებში არის აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის სადგომი, გარაჟი.

ყურადსაღებია, რომ ეს სახლები შენდება კონსტრუქციებისაგან, რომლებსაც უშვებს რესპუბლიკის მრეწველობა.

ხუთწლიდის დამლევამდე რესპუბლიკაში გაჩნდება კიდევ 5 ახალი და აღორძინებული სოფელი, რომელთა ასაგებ კონსტრუქციებს ჩვენი სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები უშვებენ. ყოველ მათგანს თავისი არქიტექტურული იერსახე ექნება.

● ●

სკოლები ელიან

ვაზიანი ახალი ოთხსართულიანი სკოლა მზად არის ახალ სასწავლო წელს მიიღოს 1156 მოსწავლე. ვრცელი საკლასო კაბინეტები, სპორტული დარბაზი და საცურაო აუზი კარგი საჩუქარი იქნება მშენებლებისაგან პირველი სექტემბრისათვის. ეს სათვალავით 172-ე სკოლაა თბილისში.

—დიდი მუშაობა გაეწიეთ, რომ პირველ სექტემბერს მოსწავლეთა სადღესასწაულო გუნება-განწყობილებას შეესაბამებოდეს სკოლების გარეგნული და შიგნითა ილერსახე, — თქვა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა ლ. ჩიქვანაიამ. — შევაკეთეთ 140 სკოლა, პირველი მაისისა და კიროვის რაიონის მოსწავლეები მიიღებენ ორ სასკოლათშორისო საცურაო აუზს. ახალი აუზი გაიხსნა ორჯონიკიძის რაიონის სპორტულ სკოლაშიც.

ქალაქის ყველა სკოლა უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო საშუალებებით, ინვენტარით.

პირველი სექტემბრისათვის სასწავლებლების მომზადებაში საგრძნობი დახმარება გაგვიწიეს სკოლების შეფებმა, მაგალითად, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ, თბილისის ელექტროლამპრიბის ქარხანამ, „ვამოდ-მაუფის კომბინატმა „საბჭოთა საქართველომ“ და სხვ.

მომდინარე წლის დამლევს ახალშობილობის გადაიხდის კიდევ ორი სკოლა 1250 მოსწავლისათვის ვლადაში და 1156 მოსწავლისათვის — მუხიანში.

28 აგვისტო

საქართველოს დიდებული ზურგზე ცხოვრება

სპეციალისტ და ახალი ამბების საკვანძოს ჟურნალისტები გვეტყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ვაშინგტონის თავხედური დიქტატის წინააღმდეგ

გულისწყრომა დასავლეთ ევროპაში რეიგანის დამსჯელი „საქციელის“ გამო

● ●

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ეაჭრობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ „განუსაზღვრელი ვადით“ აკრძალა ამერიკის „დრესერ ინდასტრაზის“ კორპორაციის საფრანგეთის ფილიალის — კომპანია „დრესერ-ფრანსის“ კომპანიისა და საფრანგეთის „კრუზო-უთარს“ სახელმწიფო კომპანიისათვის ამერიკული მოწყობილობის, საკონლისა და ტექმოლოგიის მიწოდება, გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ამ ფირმებმა უარი თქვეს დაეცვათ იგნორში პრეზიდენტ რ. რეიგანის მიერ შემოღებული დისკრიმინაციული სანქციები სსრ კავშირი ცმბილი-დასავლეთ ევროპის გაზსადენისათვის იმ საჭირო მოწყობილობის მიწოდებისადმი, რომელსაც დასავლეთ ევროპაში ამზადებენ ამერიკული კომპანიების ფილიალები და დასავლეთევროპული ფირმები ამერიკული ლიცენზიებით.

გამოაცხადა რა საუწყებათშორისო ჯგუფის თათბირზე შემუშავებული და პრეზიდენტ რეიგანის მიერ დამტკიცებული ეს გადაწყვეტილება, ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ლ. ოლმერმა განაცხადა, რომ ეს აკრძალვა უნდა გახდეს „სიგნალი სხვა შესაძლო დამრღვევთათვის, რომლებიც, ჩვენ

მან აშკარა მუქარის ტონით თქვა, რომ ადმინისტრაციას, რომელსაც საფრანგეთის ორი კომპანიის მიმართ გაუმორაკეთეთ ლინსმიებანი „ზომიერად“ მიიჩნია, შეუძლია სხვა დამსჯელ „საქციელისაც“ მიმართოს მას შემდეგ, რაც მისი სამინისტრო დაამთავრებს ამ კომპანიების მოკმედების გამოძიებას.

მაგრამ ვაშინგტონის მუქარის მიუხედავად, ფირმა „დრესერ-ფრანსმა“ საბჭოთა კავშირს ამ დღენიშ ეაჭრობა გაუგზავნა პირველი სამი კომპრესორი გაზსადენისათვის. გარდა ამისა, ინგლისის, გერმანიისა და ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის მთავრობებმა, რომელთა ფირმებმაც სსრ კავშირთან დადეს შეთანხმება გაზსადენის თაობაზე, მოთხოვნა მისცეს კომპანიებს ზუსტად დაიცვან კონტრაქტების პირობები.

ამერიკის პრესა ვაშინგტონს ადმინისტრაციის პოზიციის და აღნიშნავს, რომ თეორიასლის უგუბერმა კურმა არა ამერიკრმრმების შშენებლობა. მათ უკვე შემქნეს ასფრენ-დასავლეთი ზოლი მარჯ ამ-შუპერში, რომელსაც აქტიურად იყენებენ ახალი მაშველი ძალების ჩასაყვანად. იქვე ამონტაჟებენ რადარულ დანადგარებს. აღინიშნება ისრაელის სახელეთო ჯარების კონცენტრაცია იმ ალ-საალ რაიონში (ლიბანის სამხრეთის აღმოსავლეთი სექტორი).

28 აგვისტო

საქართველოს დიდებული ზურგზე ცხოვრება

